

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 90
წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემა
Anniversary edition dedicated to the 90th anniversary of
Akaki Tsereteli State University
Юбилейное издание, посвященное 90-летию Государственного
университета Акакия Церетели

ISSN 2346-8467

აგრო
AGRO
АГРО
NEWS

№10

ქუთაისი – Kutaisi – Кутаиси
2023

ჟურნალი წარმოადგენს
იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის კავშირისა და
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის
პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას

სარედაქციო კოლეგია:

ლორთქიფანიძე როზა – (მთავარი რედაქტორი);

სანთელაძე ნატალია- (სწავლული მდივანი);

წევრები: პაპუნიძე ვანო; შაფაკიძე ელგუჯა; ასათიანი რევაზი; კოპალიანი როლანდი; ჯაბნიძე რევაზი; კინწურაშვილი ქეთევანი; ხასაია იზოლდა; ჭაბუკიანი რანი; ქობალია ვახტანგი; ფრუიძე მაყვალა; ჩახხიანი-ანასაშვილი ნუნუ; დოლბაია თამარი; ყუბანეიშვილი მაკა; კელენჯერიძე ნინო; ყიფიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარი; კეკელიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯანი; ჯობავა ტრისტანი; წიქორიძე მამუკა; თავბერიძე სოსო; თაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზი; ბენიძე ეთერი; ჟორჯოლიანი ცირა; დუმბაძე გუგული; ნემსაძე მარიამი.

სარედაქციო კოლეგიის საზღვარგარეთის წევრები:

ჩუხნო ინა (უკრაინა); გოგთურქ თემალი (თურქეთი); თურგუტ ბულენტი (თურქეთი); ბელოკონევა-შიუკაშვილი მარინა (პოლონეთი); გასანოვი ზაური (აზერბაიჯანი); მამმადოვი რამაზანი (თურქეთი); სანტროსიანი გაგიკი (სომხეთი); სადინდიევი ულტემურატი (ყაზახეთი).

The magazine is a periodical scientific publication of
Imereti Agro-ecological Association and
Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.

EDITORIAL BOARD

Lortkipanidze Roza– (Editor in Chief);

Santeladze Natalia– (Academic Secretary);

Members: Papunidze Vano; Shapakidze elguja; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Khasaia Izolda ; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; Xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Tabagari Marieta; Kiladze Ramaz; Benidze Eter; Zhorzholiani Tsira; Dumbadze Guguli; Nemsadze Mariam.

FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD

Chuxno Inna (Ukraine); Gokturk Temel (Turkey); Turgut Bulent (Turkey); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaijan); Mammadov Ramazan (Turkey); Santrosian Gagik (Armenia); Sagyndykov Ultemurat (Kazakhstan).

Журнал представляет
Периодическое научное издание
Союза агроэкологической ассоциации Имерети и
Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Лорткипанидзе Роза – (главный редактор);

Сантеладзе Наталия – (Ученый Секретарь);

Члены: Папунидзе Вано; Шафакидзе Элгуджа; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабниძე Реваз; Кинцურაშვილი Кетеван; Хасая Изольда; Чабукиანი Рани; Кобалия Вахтанг; Пруидзе Маквала; Чახჩიანი-ანასაშვილი ნუნუ; დობაია თამარ; კუბანეიშვილი მაკა; კელენჯერიძე ნინო; კიპიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარ; კევილიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯან; ჯობავა ტრისტან; ციკორიძე მამუკა; ტავბერიძე სოსო; ტაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზ; ბენიძე ეთერი; ჯორჯოლიანი ცირა; დუმბაძე გუგული; ნემსაძე მარიამ.

ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Чухно Инна (Украина); Гоктурк Темал (Турция); Тургут Булент (Турция); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азербайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндигов Ултемурат (Казахстан)

თამილა არდემანაშვილი, ინგა გაფრინდაშვილი, ნანა ჯაბნიძე – კლიმატური ცვლილებების გავლენა აჭარის შავიზღვისპირა ტერიტორიაზე გავრცელებული ბუტია პალმის ტექნიკურ მახასიათებლებზე _____	9
ნინო კვლენჯერიძე, ნატალია სანთელაძე – ნიადაგური კვლევები დაფნის კულტურის გავრცელებისთვის (კახეთის რეგიონი, საქართველო) _____	12
როლანდ კოპალიანი, ანდრო ხეთერელი – “ფიზალისის (<i>physalis peruviana</i>) გავრცელების პერსპექტივები საქართველოში _____	16
Roland Kopaliani, Nino Kipiani – Results of Phenological Observation of Hybrid Relatives Obtained by Crossing with Spontaneous Mutants of Lemon Meyer Trifoliolate _____	20
როზა ლორთქიფანიძე, ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი, გიორგი იაკობაშვილი – ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე ქლიავის (<i>Prunus domestica</i>) სამრეწველო წარმოება იმერეთის რეგიონში _____	23
ნინო მარგველაშვილი – მიღწევები ცხოველთა ტრანსგენეზში _____	26
მაკა ყუბანეიშვილი – გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო - სამკურნალო მცენარეები _____	36
ნანა ჯაბნიძე, რეზო ჯაბნიძე, ლაშა ზოიძე, ხათუნა ბოლქვაძე – აბორიგენული საღვინე ვაზის ჯიში „საწურის“ ფენოლოგიური დაკვირვების შედეგები ქედის მუნიციპალიტეტის პირობებში _____	42
ჯინჭარაძე ნატალია – ტუნგის ხე – ცხიმ-ზეთოვანი კულტურა, მისი აგროტექნოლოგია და სამრეწველო დანიშნულება _____	47
Tristan Jobava – Results of Studying the Intensity of Photosynthesis, Respiration Activity, Pigments and Sugars in Leaves of Lemon Dioskuria According to Periods _____	52
თამარ ხუციძე – ეკოლოგიურად სუფთა მწვანე ჩაის ხსნადი ექსტრაქტის სამკურნალო მეთოდები ინფიცირებული, ძნელად შესახორცებელი ჭრილობებისათვის _____	56

ნუნუ დიაკონიძე, ნინო ხონელიძე – ქუთაისის ბოტანიკური ბაღის
ფლორის გვირგვინი _____ 61

ნანა გოგიშვილი – საქართველოში გავრცელებული ტყემლის ჯიშური ფორმების ქიმიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა _____	71
ნანა გოგიშვილი – შრომის უსაფრთხოება ტურიზმის სფეროში, გამოწვევები, პრობლემები _____	78
ლუიზა გორგოძე, მარინა კუცია – ზამბახისებრთა (Iridaceae) ოჯახის ზოგიერთი იშვიათი, გადაშენებადი და ენდემური სახეობების ex-situ კონსერვაცია ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში და მათი გამოყენება დეკორატიულ მეზალოგიაში _	83
ეკატერინა გუბელაძე – ზოგიერთ ლამაზად მოყვავილე მერქიანების ყვავილობა ქუთაისის ბაღებსა და სკვერებში _____	94
სოსო თავბერიძე, ემზარ კილასონია, შორენა კაპანაძე – სატრაქტორო აგრეგატის კინემატიკის ზოგიერთი საკითხი ფერდობული მიწათმოქმედების პირობებში _____	101
ეკატერინე კახიანიშვილი – მცენარეული ნედლეულით ჩაის პროდუქციის სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების ამაღლება _____	107
ზაზა პაპიძე, შორენა ფხაკაძე – ინვერტორების როლი მზის ელექტროენერგეტიკული სისტემების გამართულ მუშაობაში _____	112
იზა ოჩხიკიძე – მცირე არქიტექტურული ფორმების როლი ლანდშაფტურ დიზაინში _____	118
ცირა ჟორჟოლიანი, ემზარ გორდაძე – ეკოლოგიური კრიზისი და მისი შედეგები _____	123
მაყვალა ფრუიძე, შორენა ჩაკვეტაძე, ეკატერინე ბენდელიანი – კენკროვანი მცენარეებისაგან ბალახოვანი ჩაის მიღების ტექნოლოგია	130
ნანა ქათამაძე – ხილის სხვადასხვა ჯიშების ხელოვნური შრობა _____	137
ქეთევან ქუთელია – ყვავილნარი ყვავილების გარეშე _____	142
ქეთევან ქუთელია – ბონსაის ხელოვნება _____	146
მამუკა წიქორიძე – ატომური ტექნიკის გამოყენება სოფლის მეურნეობის მექანიზაციასა და ელექტროფიკაციაში _____	151

მანანა კობახიძე, პაპუნა კუპრაშვილი – სამედიცინო ტურიზმი და საქართველო _____	157
სერგო ცაგარეიშვილი, მანანა კობახიძე – ისტორიულ-რომანტიკული ტური ქუთაისში _____	161

ეთერ ბენიძე, გიორგი კილაძე – მცენარეების მნიშვნელობა დასახლებული ტერიტორიების ტემპერატურული რეჟიმის ფორმირებაში _____	173
Kopalian Lia, Kiladze Giorgi, Ekaterine Arveladze, Liana Gogelia – Resort "Dzughuri" (source of immortality) its natural diversity, healing properties and the possibility of tourism development _____	181
Roza Lortkipanidze, Natalia Santeladze – Greenhouse gas emissions in Georgia's agroecological environment _____	184
აკაკი ნასყიდაშვილი – მთიანი აფხაზეთის ბუნება _____	186
ნინო მოწინიძე – მდინარე ხანისწყლის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუჩქნარ-ბალახოვანი მცენარეულობა _	193
ქეთევან ჩიქვინიძე, ნინო მარგველაშვილი – რიდონეტით გამოწვეული ფიზიოლოგიური და გენეტიკური ცვლილებები სოიას ტესტ სისტემაში _____	197
მაია ხელაძე – წყლის რესურსების დაბინძურების გამომწვევი მიზეზები და შედეგები _____	207
გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, კონსტრუქტორი, პედაგოგი _	212
Prominent Georgian Scientist, Constructor, pedagogue _____	217

2 **06Մ06ՉԹՈԾ** **ENGINEERING** **ИНЖИНИЕРИЯ**



კენკროვანი მცენარეებისაგან ბალახოვანი ჩაის მიღების ტექნოლოგია

მაყვალა ფრუიძე

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ტექნოლოგიების აკადემიური დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

შორენა ჩაკვეტაძე

აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი სასურსათო ტექნოლოგიებში, ასისტენტ პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

ეკატერინე ბენდელიანი

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ტექნოლოგიების აკადემიური დოქტორი ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

ნაშრომში განხილულია საქართველოში გავრცელებული მცენარეების ნაყოფებისა და ფოთლების ქიმიური შედგენილობა, მათი გამოყენების შესაძლებლობა ბალახოვანი ჩაის მისაღებად; კენკროვანი მცენარეებისაგან მიღებული ბალახოვანი ჩაის ნედლეულის მაყვლის, ჟოლოს, ასკილის გადამუშავების ტექნოლოგიური სქემა; ბიოლოგიურ - მორფოლოგიური დახასიათება, გავრცელება, ნაყოფისა და ფოთლების ქიმიური შედგენილობა, რომელიც შეიცავს ადამიანის კვებისათვის აუცილებელ ფენოლურ ნაერთებს, ვიტამინებს, ორგანულ მჟავებს, ნახშირწყლებს, მინერალურ მარილებს, არომატულ ნივთიერებებს და სხვა; მათი გამოყენების შესაძლებლობებს მედიცინასა და კვების მრეწველობაში. შესწავლილი და დადგენილი იქნა, რომ ფიქსაციის შედეგად იმატებს ფენოლური ნაერთებისა და ექსტრაქტული ნივთიერებების რაოდენობა 0,5-1% ფარგლებში, რომელიც მნიშვნელოვანს ხდის ამ სამკურნალო თვისებების მქონე ბალახოვან ნედლეულს გამოყენებული იქნას ჩაის სახით.

საქართველოს მაღალმთიანი ადგილებისგან განსხვავებით, ბალახოვანი ჩაის სმის კულტურა ურბანულ გარემოში სულ უფრო ნაკლებად გვხვდება და იქ, სადაც ჩაის სვამენ, არჩევანი არც ისე ფართოა - უმეტესად შავ ან მწვანე ჩაის გვთავაზობენ. არადა, ბალახოვანი ჩაი, გემოს გარდა, სამკურნალო თვისებითაც გამოირჩევა. ის წარმოადგენს სამკურნალო მცენარეებისგან მიღებულ ჩაის, რომელთაც გააჩნიათ მრავალმხრივ სასარგებლო თვისებები, მისი სრულყოფილი ჩაის სასმელის სახით გამოყენების მიზნით შესწავლილი იქნა მათი ფიზიკურ - ქიმიური მაჩვენებლები და გადამუშავების ტექნოლოგიური სქემა.

ცნობილია, რომ ფენოლური ნაერთები მეტად გავრცელებული ნაერთია ბუნებაში. ისინი შედიან მცენარეთა სამყაროს თითქმის ყველა ოჯახში მეტ-ნაკლები რაოდენობით. ფენოლური ნაერთებით უფრო მდიდარი მცენარეები გვხვდება ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონაში. ფენოლური ნაერთები მცენარეში არ არის თანაბარი რაოდენობით გადანაწილებული. ის შეიძლება იყოს ფესვში, ღეროში, ფოთოლში, ნაყოფში და ა.შ. გარდა ჩაის მცენარისა ფენოლური ნაერთები გვხვდება სხვადასხვა კენკროვან და ბალახ-

ხოვან ნედლეულში, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ბალახოვანი ჩაის სახით. ფუნოლური ნაერთები მნიშვნელოვანია იმიტაც რომ ის გამოირჩევა ანტიოქსიდანტური თვისებებით.

ანტიოქსიდანტები წარმოადგენენ სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების ჯგუფს, რომლებსაც გააჩნიათ თავისუფალი რადიკალების შებოჭვისა და ორგანიზმში ჟანგვითი პროცესების ინტენსივობის შემცირების უნარი, შესაბამისად, შეუძლიათ უარყოფითი ზემოქმედების ნეიტრალიზაცია.

ქიმიური ხასიათის მიხედვით ანტიოქსიდანტები (ბიოანტიდამჟანგველები) წარმოადგენენ ნაერთთა ფართო კლასებს: ფენოლები და პოლიფენოლები (ტოკოფენოლები, ფლავანოიდები, გალის მჟავას წარმოებულები და სხვა), ანტიოქსიდანტური ფერმენტები (სუპეროქსიდისმუტაზა, გლუტათიონპეროქსიდაზა, კატალაზა და სხვა), SH - შემცველი ნაერთები (გლუტათიონი, პეროქსირედოქსინი, თიორედოქსინები და სხვა), ასევე მრავალი სხვა ნივთიერება [1].

ანტიოქსიდანტი – ეს არის ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც მცირე კონცენტრაციით სუბსტანტთან შედარებით მნიშვნელოვნად აკავებს ან აინჰიბირებს მის თავისუფალ რადიკალურ დაჟანგვას [2].

ფენოლური ნაერთების დიდი რაოდენობით შემცველი არის ისეთი კენკროვანი მცენარეები, როგორებიცაა, მაცვალი, ჟოლო და ასკილი. რომლებიც საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული.

მაცვალი (*Rubus fruticosus*) - მცენარე ვარდისებრთა ოჯახისა, მეტწილად ხვიარა ბუჩქებია. აქვს ეკლებით ან ჯაგრებით მოფენილი გრძელი ღეროები. პირველი წლის ყლორტებზე - ტურიონებზე - მხოლოდ ფოთლებია, მეორე წლის ყლორტებზე კი - ყვავილები და ნაყოფები. ყვავილები არის ყვავილედებად შეკრებილი. ნაყოფი კრებადია და შედგება წითელი ან მოწითალო - მოშავო წვნიანი კურკიანებისაგან. მაცვალის 200-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში 37 სახეობა გვხვდება, მათგან 27 ენდემია. მაცვლის ღერო და ფოთლები მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს ფენოლურ ნივთიერებებს, ნაყოფი - 4-8% შაქრებს, 0,6-1,4% მჟავებს, C, B, C, E, K, P, PP ვიტამინს და კაროტინს, სასარგებლო ელემენტებს: კალიუმს, სპილენძს, მაგნიუმს. ცნობილია კულტურული მაცვლის დაახლოებით 300-მდე ჯიში. [3]

მაცვლის ფოთოლი შეიცავს დიდი რაოდენობით ტანინებს, რაც ეხმარება უძილობასა და ნევროზების მკურნალობაში. ინფუზიას აქვს სასარგებლო გავლენა საჭმლის მომწელებელი ტრაქტის და ღვიძლის მუშაობაზე. მაცვლის ფესვებისგან დამზადებული წამალი ხელს უწყობს თირკმლის ქვების დაშლას და მოცილებას. კენკრას აქვს ანტიოქსიდანტური თვისებები და არეგულირებს სისხლში გლუკოზის საჭირო დონეს. ფოთლების ექსტრაქტს გააჩნია ჭრილობების შეხორცების უნარი ანტისეპტიკური თვისებების გამო. ფართოდ გამოიყენება დერმატიტისა და ეგზემის სამკურნალოდ. ფიზიკური დატვირთვის მქონე ადამიანებისთვის ხსნის კუნთების ტკივილს, ანთებას სახსრებში, სპაზმს. მაცვალი მნიშვნელოვნად ამცირებს კანქვეშა ცხიმის გამომუშავებას. ორსულობის დროს სასარგებლო გავლენას ახდენს ნაყოფის ფორმირებასა და განვითარებაზე, მის ნერვულ სისტემაზე. კენკრის გამოყენება ხელს უწყობს კანის უჯრედების გაჯერებას საჭირო მი-

ნერალებით, რაც დადებითად მოქმედებს სახის კანის გაახალგაზრდავებაზე. ამიტომ, მაყვალი ფართოდ გამოიყენება კოსმეტიკური მიზნებისათვის. კენკრის კიდევ ერთი დადებითი თვისებაა ყაბზობის აღმოფხვრა. დიეტური ბოჭკო აქტიურად გამორიცხავს ნაწლავის შეშუპებას. მაყვლის ფოთოლი და რიზომის ექსტრაქტი ასევე ხშირად გამოიყენება თმის მოვლის კოსმეტიკაში. ხელს უწყობს "ცუდი" ქოლესტერინის დონის შემცირებას. მას აქვს დადებითი გავლენა გულისა და სისხლძარღვთა სისტემის მუშაობაზე, ხასიათდება ანტიჰელმინთური და ანტიმიკრობული თვისებებით. მაყვალი შეიცავს ნუტრეინებსა და სამკურნალო ნივთიერებებს. მათ შორის: საქაროზას, გლუკოზას, ფრუქტოზას, ლიმონმჟავას, ღვინის მჟავას, ვაშლის მჟავას და სხვა ორგანულ მჟავებს. ვიტამინებს: და პექტინს. სხვა მიკრო და მაკრო ელემენტებს. მის შემადგენლობაში შედის მინერალები: ნატრიუმი, კალიუმი, კალციუმი, ფოსფორი, რკინა, სპილენძი და ა.შ. ხალხურ მედიცინაში, მაყვალი გამოიყენება ორგანიზმის გასაძლიერებლად და ვიტამინების მარაგის შესავსებად.

ფოთლები შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს. ხალხურ მედიცინაში ფოთლების ნაყენს იყენებენ ზედა სასუნთქი გზების დაავადების დროს, როგორც ამოსახველებელ საშუალებას; პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთების, ანგინის, ფარინგიტის დროს გამოსავლებად. კუჭის აშლილობის საწინააღმდეგოდ გამოიყენება აგრეთვე ფოთლებისაგან მომზადებული ფხვნილები. ფოთლების ნაყენს უფრო უკეთესი თვისება აქვს, ვიდრე ნახარშს. მაყვლის გამომშრალი ფესვების ნახარში შესანიშნავი შემკვრელი საშუალებაა. მაყვლის ფოთლების წვენი ასევე გამოიყენება: ვირუსული ინფექციის, ანემიის, გინეკოლოგიური დაავადებების, კოლიტისა და დიზენტერიის დროს. მას აქვს სედაციური და მატონიზირებელი ეფექტი. ფოთლების ნახარში გამოიყენება ჭრილობების, დერმატიტის, ვენური წყლულების, ჰერპესის, ეგზემის, დაავადებული ღრძილების, ყელის ტკივილის, ფარინგიტისა და სტომატიტის სამკურნალოდ.

ჟოლო (*Rubus idaeus*) - მცენარე ვარდისებრთა ოჯახისაა. ფოთოლმცვენი ბუჩქბალახია, მისი სიმაღლეს 1-3 მ აღწევს. მიწისქვეშა ნაწილი მრავალწლოვანი ფესურაა, მიწისზედა - ერთ და ორწლოვანი მწვანე, წითელი ან იისფერი ყლორტია, რომელიც დაფარულია სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის ქაცვებით. ფოთოლი სამყურა ან ფრთისებრ რთულია, ყვავილი - ორსქესიანი, თეთრი, ნაყოფი - კენკრა, ფერად ყვითელი, წითელი ან მუქი მეწამული. მრავლდება თესლით (ახალი ჯიშის მისაღებად) და ვეგეტატიურად. ცნობილია, ჟოლოს 120-ზე მეტი სახეობა. ფართოდაა გავრცელებული ყველგან. იყენებენ საჭმელად - ნედლად და გადამუშავებულს.

ჟოლო არაერთი სასარგებლო თვისებით გამორჩეული კენკროვანია. იგი შეიცავს ვაშლის, ღვინის და სალიცილის მჟავას; გლუკოზას, ფრუქტოზას, საქაროზას, ტანინებს, პექტინს, კალიუმს, სპილენძს და კაროტინს. აგრეთვე, C, A, E, PP და B ჯგუფის ვიტამინებს და ეთერზეთებს. ცოცხალი ჟოლო რეკომენდირებულია ათეროსკლეროზისა და ჰიპერტონიის დროს. ჟოლო არეგულირებს არტერიულ წნევას. უებარი წამალია გაციებისა და სხვადასხვა ვირუსების დროს. ფოთლებში გვხვდება ფლავონოიდები და ორგანული მჟავები. ხალხურ მედიცინაში იყენებენ ჟოლოს ნაყოფს, ყვავილებს და ფოთლებს, როგორც ოფლის მომ-

გვრელ, სიცხის დამწვევ, ღებინების საწინააღმდეგო, ამოსახველებელ საშუალებას. ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტიოქსიდანტური და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება. ჟოლოს წვენი ეხმარება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულების მკურნალობაში. ახალი ჟოლო ეფექტურია ათეროსკლეროზის, ჰიპერტენზიის, კოლიტის, გასტრიტის, ანემიის სამკურნალოდ, C ვიტამინი აძლიერებს იმუნიტეტს. მშრალი კენკრა სასარგებლოა სტენოკარდიისთვის. ჟოლოში არსებული A, PP, B2 გვეხმარება ახალგაზრდობის შენარჩუნებაში. [4]

ასკილი კენკროვანი მრავალწლოვანი მცენარეა, სწრაფად და ადვილად მრავლდება, ადრე იწყებს ნაყოფის მოცემას და ყოველწლიურად იძლევა მაღალ მოსავალს.

ასკილი (*Rosa canina*L) ველური ვარდი [ვარდისებრთა](#) ოჯახის გვარისაა. მარადმწვანე ან ფოთოლმცვენი, ზოგჯერ ხვიარა, ეკლიანი ბუჩქებია. აქვთ კენტფრთისებრი [ფოთლები](#), ლამაზი და სურნელოვანი ყვავილები ცალად ან ქოლგისებრ-[საგველა](#) ყვავილედშია თავმოყრილი. ნაყოფის ფერი ნარინჯ - წითლიდან მურა - წითლამდე, უსუნო, გემო მომჟავო ტკბილი, ოდნავ ძელგი. ცნობილია 400-მდე სახეობა, [საქართველოში](#) გავრცელებულია - 25, მათგან - 5 [ენდემურია](#).

ასკილი პოლივიტამინური ნედლეულია, ის ითვლება C ვიტამინის ყველაზე მდიდარ ბუნებრივ წყაროდ. შემცველობით 10-ჯერ აღემატება მოცხარის ნაყოფს და 50-ჯერ ლიმონის ნაყოფს [5], ამავე დროს C ვიტამინის ბიოლოგიური როლი ვლინდება ორგანული მჟავების და P -აქტივობის ნაერთების თანაობისას, რომელთა ჯგუფშიც შედიან ანტოციანები, კატეხინები, ლეიკოანტოციანები და ფლავანოიდები. ისინი განსხვავდებიან ქიმიური შემადგენლობით, მაგრამ მსგავს მოქმედებას ახდენენ ადამიანის ორგანიზმზე. ფლავანოიდები მოქმედებენ როგორც ანტიოქსიდანტები და ბოჭავენ თავისუფალ რადიკალებს მეტალების თანაობისას [6]. ასკილის ნაყოფში ისინი წარმოდგენილია ჰიპეროზიდებით, კვერცეტინით, რუტინით, კემპფეროლ-3-არაბინოზიდით და სხვა [7].

ასკილის ნაყოფში აღმოჩენილია ტოკოფეროლები, რომელთა ანტიოქსიდანტური თვისებები დაფუძნებულია აქტიურ რადიკალებთან ურთიერთქმედებისას, ჰიდროქსილის ჯგუფიდან წყალბადის ატომის მოწყვეტის ხარჯზე მდგრად მცირე რეაქციის უნარიანი თავისუფალი რადიკალების წარმოქმნის უნარზე .

ასკილში კაროტინოიდები წარმოდგენილია ძირითადად ლიკოპენით, ლუთეინით და β-კაროტინით. მათი დანიშნულებაა სინგლეტური ჟანგბადის შეკავშირება და თავისუფალი რადიკალების წარმოქმნის ინჰიბირება. კაროტინოიდების რაოდენობა ვეგეტაციის პროცესში იზრდება, ამ დროს მცირდება ქლოროფილების რაოდენობა ასკილის ნაყოფი შეიცავს B₁, B₂, P, K, E ვიტამინებს და A პროვიტამინს. მისი შემცველობით ასკილის ნაყოფი ჩამორჩება მხოლოდ გარგარს და სტაფილოს. ასკილის ნაყოფი მდიდარია ადამიანის ორგანიზმისათვის აუცილებელი ორგანული მჟავებით (ვაშლის - 1,8%, ლიმონის - 3,82%), ეთერზეთებით, პექტინური ნივთიერებებით 9,14% -მდე), კალციუმისა და კალიუმის, მაგნიუმის მარილებით, ფლავანოიდებით, მთრიმლავი ნივთიერებებით (4,5%) და მიკროელემენტებით [8].

ზღვის დონიდან სიმაღლის ზრდასთან ერთად იზრდება ასკორბინის მჟავას, კაროტინის, კატეხინების, ლეიკოანტოციანების, ანტოციანების და ფლავანოიდების შემცველო-

ბა, მაგრამ მცირდება მთვრიმლავი ნივთიერებების შემცველობა ნაყოფში .

ასკილის ნაყოფის გარდა მდიდარი ქიმიური შემადგენლობა აქვს ფოთლებსაც. მათ მეორე ადგილი უკავიათ ასკორბინის მჟავას შემცველობით, მცენარის ვეგეტაციურ ნაწილთან შედარებით ასკილის ფოთლებში განსაზღვრულია ისეთი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა, როგორცაა კაროტინოიდები (ლიკოპინი და β კაროტინი), ქლოროფილი, ტოკოფეროლები და ფლავანოიდები .


ზოგიერთი სახეობის ასკილის ნაყოფი შეიცავს მთრიმლავი ნივთიერებების მნიშვნელოვან რაოდენობას. განსაკუთრებით მდიდარია მთრიმლავი ნივთიერებებით ასკილის ფესვები და ყლორტები. ასკილის ყვავილის ფურცლები შეიცავენ 0,020-0,011 % არომატულ ნივთიერებებს (ეთეროვან ზეთებს).

ასკილის ნაყოფს იყენებენ პროფილაქტიკური და სამკურნალო მიზნით, როგორც დამხმარე საშუალებას ჰემორაგიული დიათეზის, ჰემოფილიის, სისხლდენის, ანტიკოაგულანტების გადამეტების, ინფექციური დაავადებების, ნაღვლის დაავადებების, ადისონის დაავადებების, შეუხორცებელი წყლულების და ჭრილობების, ძვლის მოტეხილობის, სამრეწველო შხამებით მოწამვლისა და სხვა მრავალი შემთხვევის დროს. ასკორბინის მჟავას დიდი დოზით იყენებენ ავთვისებიანი წარმონაქმნების მქონე ავადმყოფების კომპლექსური მკურნალობის დროს, იქედან გამომდინარე, რომ ავთვისებიანობის ზრდის მექანიზმს წარმოადგენს ჰიალურონიდაზის აქტივობის ამაღლება, ასკორბინის მჟავა კი ბლოკავს მას.

განხილული მასალებიდან გამომდინარე მაყვალი, ჟოლო და ასკილი წარმოადგენს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარ წყაროს და პერსპექტიულია მისი ყოველმხრივი შესწავლისა და რაციონალურად გამოყენებისათვის.

მაყვლის, ჟოლოსა და ასკილის ფოთლების ჩაი სასარგებლოა სრულიად ჯანმრთელი ადამიანისთვისაც, რადგან ის მათებს ორგანიზმს მდგრადობას ინფექციური დაავადებების მიმართ, რაც განსაკუთრებით აქტუალურია შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. აღნიშნული ტიპის ჩაის მისაღებად შემუშავებული იქნა, შემდეგი ტექნოლოგიური სქემა.

კენკროვანი მცენარეებისაგან ბალახოვანი ჩაის მიღების ტექნოლოგიური სქემა



კენკროვანი მცენარეების ფოთლების ფიზიკურ - ქიმიური მაჩვენებლები
(მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით %-ში)

ცხრილი 1

ნიმუშის დასახელება	ტენი	ექსტრაქტული ნივთიერებები		ფენოლური ნაერთები	
	ნედლი	ნედლი	შზა პროდუქტი	ნედლი	შზა პროდუქტი
მაყვლის ფოთოლი	76,52	29,33	29,74	9,30	9,56
ჟოლოს ფოთოლი	76,81	37,23	37,92	10,21	10,89
ასკილის ფოთოლი	72,57	38,29	39,27	16,20	16,80

ცხრილი 1-დან ჩანს, რომ ფიქსაციის შემდეგ ყველა კენკროვანების ფოთლის შემთხვევაში იზრდება ტიტვრადი ფენოლური ნაერთების და ექსტრაქტული ნივთიერების რაოდენობა 0,5-1%-ით. ყველაზე მაღალი ექსტრაქტულობით და ფენოლური ნაერთების ჯამური რაოდენობით გამოირჩევა ასკილის ფოთოლი (39,27 და 16,80), შედარებით ნაკლები ჟოლოს ფოთლებში (37,92 და 10,89), კიდევ უფრო ნაკლები მაყვლის ფოთლებში (29,74 და 9,56).

ამრიგად, შემუშავებული იქნა ასკილის, ჟოლოს და მაყვლის ფოთლების გადამამუშავების ტექნოლოგიური სქემა. დადგენილი იქნა, მიღებული ბალახოვანი ჩაისა და მისი ნედლეულის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები, საიდანაც ჩანს, რომ ისინი საკმაო რაოდენობით შეიცავენ ექსტრაქტულ ნივთიერებებს ზღვრებში 29,74-39,27% და ფენოლურ ნაერთებს 9,56-16,80%, რომლებიც ხასიათდებიან ანტიოქსიდანტური და სხვადასხვა სამკურნალო თვისებებით, რაც მნიშვნელოვანს ხდის ბალახეულ ჩაის ადამიანისათვის მისაღებად.

ლიტერატურა

1. Меншикова Е. Б., Зенков Н. К., Ланкин В. З. и др. - Окислительный стресс. Патологические состояния и заболевания. – Новосибирск. „АРТА“, 2008.- 284 с.
2. Haid A. A., Aiyelaagbe O.O., Usman L. A., Ameen O. M.and Lawal A. Antioxidants: - Its medicinal and pharmacological applications- African Journal of Pure and Applied Chemistry Vol. 4(8), pp. 142-151, August 2010.
3. ხინთიბიძე ლ.- [ქართული საბჭოთა ენციკლოპედია](#), ტომი 6, თბილისი, 1983წ, 507 გვ.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 8, თბილისი, 1984წ, 255 გვ.
5. Ghazghazi H, Miguel M, Hasnaoul B, Sebei H, Ksontini M, Figueiredo A et al. - Phenols, essential ofis carotenoids of *Rosa canina* from Tunisia and their antioxidant activities. African Journal of Biotechnology, 2010. Vol. 9, N18. Pp. 2709-2716.
6. Barros L., Carvalho A.M., Ferreira I.C.F.R. - Exotic fruits as a source of important phytochemicals: Improving the traditional use of *Rosa canina* fruits in Portugal // Food Research international. 2011. Vol. 44. N7 Pp. 2233-2236
7. Чечета О. В., Сафонова Е. Ф., Сливкин А. И., - Исследование флавоноидного состава плодов растения рода *Rosa* // Вестник ВГУ. Серия Химия. Биология. Фармация. 2011г. №1. С. 62-64.).
8. შ. ჩაკვეტაძე. „სხვადასხვა სახის ჩაის პროდუქტების მიღება ტრადიციული და არატრადიციული ნედლეულის გამოყენებით“, მონოგრაფია, აწსუ, 2018. გვ. 236გვ.

Technology of making herbal tea from berry plants

Makvala Fruidze

Candidate of Technical Sciences, Academic Doctor of Technologies, Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Shorena Chakvetadze

Doctor of Agricultural Sciences in Food Technology, Assistant Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Ekaterine Bendeliani

Candidate of Biological Sciences, Academic Doctor of Technologies, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

The paper discusses the chemical composition of fruits and leaves of plants common in Georgia, the possibility of using them to make herbal tea; Technological scheme of processing of blackberry, raspberry, asquili raw material for herbal tea obtained from berry plants; Biological-morphological characterization, distribution, chemical composition of fruits and leaves, which contain phenolic compounds, vitamins, organic acids, carbohydrates, mineral salts, aromatic substances and others necessary for human nutrition; Possibilities of their use in medicine and food industry. It has been studied and determined that as a result of fixation, the amount of phenolic compounds and extractive substances increases within 0.5-1%, which makes it important to use herbal raw materials with these healing properties in the form of tea.

Unlike the highlands of Georgia, the culture of drinking herbal tea is becoming less common in urban environments, and where tea is served, the choice is not so wide - mostly black or green tea is offered. However, herbal tea, apart from its taste, also has healing properties. It is a tea obtained from medicinal plants, which have many useful properties. In order to use it as a perfect tea drink, their physical and chemical indicators and the technological scheme of processing were studied.

It is known that phenolic compounds are very common compounds in nature. They are included in almost all families of the plant world in more or less quantities. Plants richer in phenolic compounds are found in tropical and subtropical areas. Phenolic compounds are not evenly distributed in the plant. It can be in root, stem, leaf, fruit etc. In addition to the tea plant, phenolic compounds are found in various berry and herbal raw materials, which can be used in the form of herbal tea. Phenolic compounds are also important because they have antioxidant properties.

Antioxidants are a group of various chemical substances that have the ability to bind free radicals and reduce the intensity of oxidative processes in the body, therefore, they can neutralize negative effects.

According to their chemical nature, antioxidants (bioantioxidants) represent a wide class of compounds: phenols and polyphenols (tocopherols, flavonoids, gallic acid derivatives, etc.), antioxidant enzymes (superoxide dismutase, glutathione peroxidase, catalase, etc.), SH-containing compounds (glutathione, peroxiredoxin, thioredoxins and others), as well as many other substances [1].

Antioxidant – this is any substance that, in a small concentration compared to the substance, significantly prevents or inhibits its free radical oxidation [2].

Berries such as blackberries, raspberries and gooseberries contain large amounts of phenolic compounds, which are widespread in Georgia.

Judging from the discussed materials, blackberries, raspberries, and blackberries represent a rich source of biologically active substances and are promising for its comprehensive study and rational use.

Blackberry, raspberry and asquil leaf tea is useful even for a completely healthy person, because it increases the body's resistance to infectious diseases, which is especially relevant in the autumn-winter period. A technological scheme was developed to obtain the mentioned type of tea.

It can be seen from the table that after fixation, the amount of titratable phenolic compounds and extractable substances increases by 0.5-1% in the case of all berry leaves. The highest extractability

and the total amount of phenolic compounds are distinguished by Asquil leaf (39.27 and 16.80), relatively less in raspberry leaves (37.92 and 10.89), even less in blackberry leaves (29.74 and 9.56).

Thus, a technological scheme for the processing of ash, raspberry and blackberry leaves was developed. The physico-chemical parameters of the obtained herbal tea and its raw materials were determined, from which it can be seen that they contain a sufficient amount of extractable substances in the range of 29.74-39.27% and 9.56-16.80% of phenolic compounds, which are characterized by antioxidant and various with healing properties that make herbal tea important for human consumption.

